

**ამბივალენტობა** (Ambivalence ← ბერძ. amphī გაორუბა + ლათ. valens ძალა) – დადებითისა და უარყოფითის ადვილი გადასვლა ერთმანეთში და ხშირად ერთდროული თანაარსებობა, შინაგანად წინააღმდეგობრივი ფსიქიკური მდგომარეობა; საპირისპირო განცდების (გრძნობების, აზრების, მოტივების...) ერთდროული აქტუალურობა. ყველაზე მეტად ახასიათებს გრძნობებს, მაგ., ადამიანს სხვა ადამიანის, ხშირად ახლობლის, მიმართ შეიძლება ერთდროულად ჰქონდეს სიყვარულის, სიბრალულის, შურის, ლვარძლი გრძნობები – თავისებურად შერწყმული, რთული გრძნობის სახით; თანაც ოთხივე გულწრფელი იყოს. ასევე, ეჭვიანობის გრძნობა ერთდროულად მოიცავს სიყვარულსა და სიძულვილს; ხოლო ძლიერი სიყვარული აჩენს ხოლმე ძლიერ ბრაზს, სიძულვილსაც კი (მტერზეც კი არ ბრაზობენ ისე, როგორც ყველაზე საყვარელ ადამიანზე). ჩვეულებრივ გრძნობათა **პ** განპირობებულია იმით, რომ რთული საგნის ცალკეული თავისებურებები განსხვავებულად ზემოქმედებს ადამიანის მოთხოვნილებებსა და დამოკიდებულებებზე (მაგ., შეიძლება პატივს ვცემდეთ ადამიანს მისი შრომისმოყვარეობისთვის და ვკიცხავდეთ მას სიფიცხის გამო).

**პ** ახასიათებს აგრეთვე გრძნობითად შეფერილ, გამორჩევად განცდებს (მოთხოვნილება, დამოკიდებულება). **პ-ის** საფუძველია აქტუალური განწყობის დიალექტიკურობა, კერძოდ ის, რომ აქტუალური განწყობა ხშირად ერთდროულად მოიცავს მდგენელებად სხვადასხვა მიმართულების, ზოგჯერ სულაც საწინააღმდეგო ფიქსირებულ განწყობებს. ამ ვითარების ტიპური მაგალითია გრძნობათა **პ-ის** განსაკუთრებული შემთხვევა: ერთმანეთს ეწინააღმდეგება ღრმა დისპოზიციური განწყობა (შესაბამისად – სათანადო მყარი გრძნობა) და აქტუალური განწყობის დროებითი სიტუაციური მდგენელი (შესაბამისად – სათანადო დროებითი გრძნობა); ასეთია, მაგ., წყენა, როცა სუბიქტის მიერ დადებითად შეფასებული ადამიანი მის მიმართ უყურადღებობას იჩენს.

**პ-ის** კიდევ ერთი მიზეზია ადამიანის მოთხოვნილებათა ერთობლიობის სირთულე – ხშირად ხდება: ერთიდაგივე მოვლენა რომელიმე მოთხოვნილებისთვის ხელშემწყობია და ამიტომ სასიამოვნოდ განიცდება, მაგრამ იმავდროულად სხვა მოთხოვნილებისთვის ხელისშემწლელია და ამიტომ უსიამოვნოდ განიცდება. ამასთან, თუნდაც სიამოვნება და უსიამოვნება თანაბარი იყოს, მათი შერწყმის შედეგია არა განურჩევლობა და ინდიფერენტულობა, არამედ ძლიერ **პ-ური** გამორჩევადობა.

**ამბიდენტობა** – მოტივაციური ამბივალენტობა. ამის კლასიკური მაგალითია ბურიდანის ვირის ორჭოფული მდგომარეობა: მშიერი ვირი თივის ორი ზვინის ზუსტად შუაში იმყოფება, რის გამოც ადგილიდან ვერ იძვრის.

გრძნობათა **პ** კარგად ჩანს შორისდებულების მაგალითზე. ჩვეულებრივ, შორისდებული გამოხატავს რამდენიმე, მათ შორის ურთიერთსაპირისპირო გრძნობას, მაგ.: აღტაცება-აღშფოთება, სიხარული-მწუხარება, გაოცება, დანანება....

ტერმინი შემოღებულია **ე. ბლოილერის** მიერ, პირველადი მნიშვნელობაა: შიზოფრენიით დაავადებულთათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობრივი დამოკიდებულებანი და ურთიერთსაპირისპირო

რეაქციები, რომლებიც სწრაფად ცვლიან ერთმანეთს.